www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლები

2017

წლის გამოკვლევის ძირითადი შედეგები

15.10.2018

www.geostat.ge

15.10.2018

არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლები

(2017 წლის გამოკვლევის ძირითადი შედეგები)

გამოკვლევის შედეგების მიხედვით არაფინანსური კორპორაციების აქტივების მოცულობამ 2017 წლის ბოლოსათვის 56,3 მილიარდი ლარი შეადგინა, საიდანაც 8,1 პროცენტი გამოსახული იყო უცხოური ვალუტით.

2017 წლისთვის მთლიანი აქტივებიდან ფინანსური აქტივების მოცულობა 14,4 მილიარდი ლარია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების სტრუქტურა 2013-2017 წლების მიხედვით:

ფინანსური აქტივების სტრუქტურა	2013		2014		2015		2016		2017	
	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%
ფინანსური აქტივები სულ	3855,7	100,0	5575,3	100,0	11063,2	100,0	12932,1	100,0	14449,6	100,0
აქედან:										
ფული სალაროში ეროვნული ვალუტით	275,8	7,2	286,2	5,1	548,8	5,0	655,8	5,1	626,9	4,3
ფული სალაროში უცხოური ვალუტით	23,2	0,6	20,0	0,4	78,2	0,7	90,7	0,7	49,8	0,3
ფულადი სახსრები რეზიდენტ კომერციულ ბანკებში არსებულ ანგარიშებზე, ეროვნული ვალუტით	1442,4	37,4	2210,5	39,7	-	-	-	-	-	-
ფულადი სახსრები რეზიდენტ კომერციულ ბანკებში არსებულ ანგარიშებზე, უცხოური ვალუტით	792,2	20,5	841,7	15,1	-	-	-	-	-	-
ფასიანი ქაღალდები	219,2	5,7	571,2	10,2	1860,7	16,8	2012,1	16,6	2668,9	18,5

არაფინანსური კორპორაციების ფასიანი ქაღალდების ღირებულებამ 2017 წლის ბოლოსათვის 2,7 მილიარდი ლარი შეადგინა.

2017 წელს ფინანსური აქტივების საერთო რაოდენობიდან მოკლევადიანი აქტივების მოცულობა 2,2 მილიარდი ლარი იყო, ხოლო ლიკვიდურობის პროცენტი - 60,2.

2017 წლის ბოლოსათვის, არაფინანსური კორპორაციების ვალდებულებები 34,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა (აქედან, მოკლევადიანი ვალდებულებები შეადგენდა 9,0 მილიარდ ლარს).

მთლიანი ვალდებულებებიდან 8,6 მილიარდი ლარი[1] წარმოადგენს ვალდებულებებს უცხოური ვალუტით. მთლიანი ვალიდან არარეზიდენტების მიმართ 2017 წლის ბოლოსათვის არსებულმა ვალმა (საგარეო ვალი) 6,4 მილიარდი ლარი შეადგინა.

ფინანსური წარმოებულების ღირებულება 81,5 მილიონი ლარით განისაზღვრა, ხოლო კაპიტალის და რეზერვების მოცულობამ 2017 წლის ბოლოსათვის 21,8 მილიარდი ლარი შეადგინა:

არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლები 2013-2017 წლებში



[1]კონვერტირებული ლარში (2017 წლის ბოლოს მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით).

არაფინანსური კორპორაციების მიერ 2017 წელს გაწეული საპროცენტო ხარჯები 1,5 მილიარდ ლარს შეადგენს, ხოლო მთლიანმა შემოსავლებმა 6,0 მილიარდი ლარი შეადგინა, რომლის სტრუქტურაც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე:

არაფინანსური კორპორაციების შემოსავლების სტრუქტურა 2013-2017 წლებში



2017 წელს ვალის მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა (იგულისხმება სასესხო ვალდებულებების გასტუმრება სესხის ძირისა და პროცენტის გადასახადის სახით) 7,3 მილიარდი ლარი შეადგინა, აქედან ვალის მომსახურება მხოლოდ სესხის პროცენტის მიხედვით - 1186,1 მილიონი ლარია, ვალის მომსახურება ფიზიკური პირებიდან მიღებული სესხების მიხედვით - 65,8 მილიონი ლარი, ხოლო ვალის მომსახურება სხვა არაფინანსური კორპორაციებიდან მიღებული სესხების მიხედვით - 526,7 მილიონი ლარი.

საკონტაქტო პირები:

გიორგი სანაძე, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge